პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/219/2016

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **28/07/2016**

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ელექტრონულ ფოსტაზე 2016 წლის 15 აპრილს მიღებული შეტყობინების მეშვეობით, აპარატისთვის ცნობილი გახდა შპს „ა“-ს სავაჭრო ობიექტში (მდებარე: ქ. თბილისი, თ. ****-ს ქ. №**) ფიზიკური პირების ფოტოსურათების განთავსების შესახებ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 18 მაისის №03/44 ბრძანების საფუძველზე, 2016 წლის 18 მაისიდან 19 ივლისამდე პერიოდში ჩატარდა შპს „ა“-ს (ს/კ *********; შემდგომში: „კომპანია“) შემოწმება, რომელიც მოიცავდა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნულ სავაჭრო ობიექტში ფიზიკური პირების ფოტოსურათების განთავსების კანონიერების შესწავლას.

შპს „ა“-ს შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- შპს „ა“ მის სავაჭრო ობიექტებში ახდენს პარფიუმერული პროდუქციის რეალიზაციას. სავაჭრო ობიექტებში გახშირებული ქურდობის ფაქტების აღკვეთის მიზნით, კომპანიამ შექმნა მონიტორინგის სამსახური, რომელიც ვალდებულია დამონტაჟებული ვიდეოკამრების მეშვეობით გააკონტროლოს ამ ობიექტებში არსებული ვითარება.
- შემოწმების ფარგლებში, 2016 წლის 19 მაისს, კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მდებარე: ქ. თბილისი, თ. *****-ს ქ. №**) ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ ობიექტის მოლარე ოპერატორ(ებ)ის სამუშაო ადგილთან (მაგიდის თავზე) განთავსებული იყო სამი ფიზიკური პირის ფოტოსურათი წარწერით - „დაფიქსირდნენ ქურდობისთვის“. ფოტოსურათები განთავსებული იყო პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით (თვალების არე დაფარული იყო თეთრი ფერის მართკუთხედით).

- შემოწმების ფარგლებში 2016 წლის 01 ივლისს გამართულ შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფოტოსურათების განთავსება მოხდა 2016 წლის იანვრის თვეში და მას შემდეგ განთავსებულია შპს „ა“-ს ქ. თბილისში არსებულ ყველა (რვა) სავაჭრო ობიექტში. ფოტოსურათები განთავსდა დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციის მიზნით და ემსახურებოდა მხოლოდ მომხმარებელთა ინფორმირებას, რომ სავაჭრო ობიექტებში მიმდინარეობდა მონიტორინგი და ქურდობის შემთხვევაში, მათი ქმედება იქნებოდა გამოვლენილი.
- შემოწმების ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, კომპანიამ ასევე მიუთითა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირების იდენტიფიცირების მიზნით, მონიტორინგის სამსახური კომპანიაში დასაქმებულ ყველა კონსულტანტს აცნობს ქურდობის ფაქტის ამსახველ ვიდეოჩანაწერს. კონსულტანტები კი, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან სავაჭრო ობიექტებში მათი გამოჩენის შემთხვევაში გამოიძახონ კერძო დაცვის სამსახური.
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 12 ივლისის №********* დასკვნის თანახმად, ფოტოსურათებზე ასახული პირების გამოსახულებები არ არის ვარგისი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

შემოწმების ფარგლებში, კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 27 მაისის №861/01 წერილით კომპანიისგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაციის წარმოდგენა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში. შპს „ა“-ს წერილი ჩაბარდა 2016 წლის 31 მაისს, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია მოწოდებულ იქნა მხოლოდ 2016 წლის 23 ივნისს №249 წერილით. შპს „ა“-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევისთვის, 2016 წლის 18 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000202, რომელსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა. ახნა-განმარტების სახით კი მიუთითა, რომ ქვეყანაში არყოფნის გამო ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის დროულად წარმოდგენა.

სამოტივაციო ნაწილი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ სავაჭრო ობიექტებში ფიზიკური პირების ფოტოსურათების განთავსების კანონიერების შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ,

საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ზემოაღნიშნული მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავე კანონის მე-2 მუხლის „რ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „ა“-ს ქ. თბილისში არსებულ სავაჭრო ობიექტში (მდებარე: ქ. თბილისი, თ. *****-ს ქ. №**) განთავსებულია ფიზიკური პირების ფოტოსურათები წარწერით - „დაფიქსირდნენ ქურდობისთვის“. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ფოტოსურათებზე ასახული პირები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ კომპანიის კუთვნილ ქონებას. მისივე განმარტებით, შემდგომში ქურდობის ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, ფოტოსურათები პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით განთავსდა კომპანიის სავაჭრო ობიექტში, რაც ემსახურებოდა მხოლოდ მომხმარებელთა ინფორმირებას, რომ სავაჭრო ობიექტებში მიმდინარეობდა მონიტორინგი და ქურდობის შემთხვევაში, კანონსაწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა გამოვლენილი.

ფოტოსურათების მეშვეობით ფიზიკური პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობის დასადგენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 28 ივნისის №PDP81600000328 წერილით კომპანიის სავაჭრო ობიექტებში განთავსებული ფოტოსურათები ექსპერტიზისთვის გადაგზავნილ იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 12 ივლისის №********* დასკვნის თანახმად, აღნიშნულ ფოტოსურათებზე ასახული პირების გამოსახულებები არ იყო ვარგისი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ შპს „ა“-ს მიერ ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება (სავაჭრო ობიექტებში განთავსება) განხორციელდა დეპერსონალიზებული ფორმით - ისე, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მასზე ასახული ფიზიკური პირების დაკავშირება მონაცემთა სუბიექტებთან. შესაბამისად, ვინაიდან კომპანიის მიერ ფიზიკური პირების მონაცემების დამუშავება განხორციელდა მათი იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, შპს „ა“-ს მხრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა არ იკვეთება.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ინფორმაციის წარდგენის წესის დარღვევაზე.

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორი უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას ნებისმიერი დაწესებულებისაგან, ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან გამოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია, მათ შორის, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, ინსპექტორს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი მიაწოდონ დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას ან მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიებასა და დამუშავებას.

კომპანიის შემოწმების ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 27 მაისის №861/01 წერილით კომპანიისაგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში - დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა. ზემოაღნიშნული წერილი შპს „ა-ს“ ჩაბარდა 2016 წლის 31 მაისს, ამდენად, ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2016 წლის 10 ივნისი. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წერილს ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კომპანიის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია: კომპანიას დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არც ვადის გაგრძელების თხოვნით მოუმართავს და არც მათი წარმოუდგენლობის მიზეზები განუმარტავს. შპს „ა“-მ ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 27 მაისის №861/01 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინა წერილის ჩაბარებიდან მხოლოდ 23 დღის შემდგომ - 2016 წლის 23 ივნისს. ინფორმაციის წარმოუდგენლობის მიზეზების შესახებ კი შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას მიუთითა, რომ ქვეყანაში არყოფნის გამო ვერ უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის დროულად წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ინსპექტორისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევას, რაც ამავე კანონის 53-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 27-ე, 35-ე, 39-ე, 53-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *********) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №0000202;
3. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი